სს.კოდი: 010250020.35.121.016365
გამოქვეყნების თარიღი: 22.02.2019

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N 10

2019 წლის 20 თებერვალი
ქ.ვანი

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის N784 ბრძანებულების, შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

1. ქალაქ ვანის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნას:

ა) შესაბამისი დასახელების მაკრომდებარეობის ინდექსი - Img;

ბ) ლოკალური ტერიტორიული ინდექსი - ITL;

გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის 1 კვმ-ზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი - C;

დ) მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი - K.

მუხლი 2

ლოკალური ტერიტორიული ინდექსის სიდიდე ქალაქ ვანის ტერიტორიაზე განისაზღვროს 1,0-ით.

მუხლი 3

მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი ქალაქ ვანის ტერიტორიაზე განისაზღვროს 100-ით: K=100.

მუხლი 4

1. მიწის ნორმატიული ფასი 1 კვმ მიწის ფართობისთვის ქ. ვანის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ფორმულით: Cn=Img x ITL x C x K, სადაც:

ა) Img - ვანის მუნიციპალიტეტისათვის შეადგენს - 0,37-ს;

ბ) ITL - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით შეადგენს - 1,0-ს;

გ) C - საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია - 0,24 ლარით;

დ) K - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულია - 100-ით;

ე) Cn = 0,37 x 1 x 0.24 x 100 = 8.88 (ლარი).

მუხლი 5

1. ამ დადგენილების მეოთხე მუხლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ 1 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი განისაზღვროს:

ა) ქალაქ ვანის ტერიტორიაზე - 8,88 ლარით;

ბ) ვანის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე - 4,00 ლარით;

გ) ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50-მეტრის რადიუსში -6,00 ლარით;

დ) დასახლებათა შორის არეალებში - 3,00 ლარით.

მუხლი 6

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N71 დადგენილება (www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 01.02.2018 წელი, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.121.016299).

მუხლი 7

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ.

მუხლი 8

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე